# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №140

**2025 წლის 7 მაისი**

**ქ. თბილისი**

**„ბაკურიანის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული №15 გეგმარებითი არეალის თემატური გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №175 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 26 აპრილის №1516-VIIIმს-Xმპ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, „ბაკურიანის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული №15 გეგმარებითი არეალის თემატური გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №175 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/04/2019, 330090000.10.003.021190) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**